

გაკვეთილის გეგმის ნიმუში

გაკვეთილის თემა	აქ იწერება გაკვეთილის/გაკვეთილების ციკლის სათაური
გაკვეთილის თემა/საგანი (საგანი და გასაღები სიტყვები)	აქ შეიძლება დაიწეროს მასწავლებლ(ებ)ის სახელი და გვარი, ასევე გაკვეთილის თემა და სხვა გასაღები სიტყვები
საგნობრივი სფერო	მიუთითეთ ინტეგრირებული საგნები
სამიზნე ჯგუფი	მიუთითეთ, რომელი საფეხურისთვის და კლასისთვის არის განკუთვნილი აღნიშნული გაკვეთილის გეგმა
მიზნები და ამოცანები (გაკვეთილის მიზნები და ამოცანები)	გაკვეთილის სასწავლო მიზნები არის იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელსაც უნდა მივაღწიოთ გაკვეთილის/გაკვეთილების ბოლოს. სასწავლო მიზნები არ ასახავს პროცესს, არამედ გამოხატავს იმას, რის მიღწევასაც ვგეგმავთ გაკვეთილის/გაკვეთილების ბოლოს. შესაბამისად, რა კომპეტენციები (ცოდნა და უნარ-ჩვევები) უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა. მიზანი იწერება კონკრეტულად, მარტივად და რეალისტურად. მაგალითად, გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები: გაიგებენ, ახსნიან, აღწერენ, შეადარებენ, შექმნიან, გაანალიზებენ, პრობლემას გადაჭრიან, შეაფასებენ, გამოიკვლევენ და ა.შ. მიზნები უნდა აღიწეროს ინტეგრირებული საგნების მიხედვით ცალ-ცალკე. გაკვეთილის სასწავლო მიზნები უნდა უკავშირდებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებსა და ინდიკატორებს. ასევე ამ უჯრაში ჩასაწერად ეროვნული სასწავლო გეგმიდან უნდა გადმოიტანოთ შედეგ(ებ)ი და ინდიკატორ(ებ)ი (როგორც კონკრეტული საგნის, ასევე ისტ-ის), რომელთა მიღწევასაც უწყობს ხელს თქვენს მიერ დაგეგმილი გაკვეთილი. მაგ. მიმართულება : კითხვა . ქართ.მე10.9. მოსწავლე კითხულობს, აანალიზებს ხვდასხვა ჟანრის მხატვრულ ნაწარმოებს. ქართ.მე-10.10. მოსწავლე იყენებს კითხვის მიზნის შესაბამის სტრატეგიებს. მიმართულება : წერა ქართ.მე-10.მე-14. მოსწავლე ადგენს ტექსტის კონსპექტს შესაბამისი წესების დაცვით. ინტეგრირებული გაკვეთილის შემთხვევაში მიუთითეთ

	შედეგები ცალ-ცალკე ყველა საგნის მიხედვით;
გაკვეთილის აღწერა (გაკვეთილის სტრუქტურა და აქტივობების აღწერა)	აქ უნდა მოხდეს ჩატარებული გაკვეთილის /გაკვეთილების პროცესის თანმიმდევრული აღწერა. გაკვეთილის პროცესი აღიწერება გაკვეთილის დაწყებიდან მის დასრულებამდე: ქმედებების თანმიმდევრობა, რატომ კეთდება, რას აკეთებს მასწავლებელი, რას აკეთებენ მოსწავლეები, როდის და როგორ ხდება ჯგუფური, ინდივიდუალური, თუ წყვილებში მუშაობა, როდის ფასდება მოსწავლეები და ა.შ. აქტივობები უნდა აღიწეროს ცალ-ცალკე და მიეთითოს ხანგრძლიობა წუთებში. შენიშვნა: თუ წარმოდგენილი გეგმა ასახავს ერთზე მეტ გაკვეთილს (გაკვეთილების ციკლს), ამ პუნქტში უნდა აღიწეროს თითოეული გაკვეთილი ცალ-ცალკე, ერთმანეთის მიმდევრობით. მაგ. გაკვეთილი 1 - საგნის დასახელება - ქართული ენა და ლიტერატურა გაკვეთილის თანმიმდევრობის (აქტივობა და დრო) აღწერა გაკვეთილი 2 - საგნის დასახელება - ისტორია გაკვეთილის თანმიმდევრობის (აქტივობა და დრო) აღწერა ა.შ.
მასალები (სასწავლო რესურსები რომელიც გაკვეთილზე გამოიყენება. აქ შეიძლება მიეთითოს ინფორმაცია ბეჭდურ მასალებზე, ან ჩაიწეროს URL მისამართები ვებ რესურსებისა და ლემილის მასალების)	ინფორმაციის წყაროები (ნაბეჭდი, ელექტრონული და სხვა..) მიანიშნეთ წყაროები, რომლებიც გამოიყენეთ გაკვეთილის მომზადების, მსვლელობის დროს (მაგ. წიგნები, ალბომები და ა.შ.). ელექტრონული (კომპიუტერული) პროგრამები და რესურსები მიუთითეთ ის კომპიუტერული პროგრამები (მაგ.: Ms Office Word 2007, Ms Office Excel 2007, GOM Player, google earth და სხვ.), ვებ-გვერდები და სხვა ელექტრონული რესურსები (მაგ.: http://www.flickr.com/, http://www.google.com/sky/, http://maps.google.com/, http://www.wikipedia.org/ და სხვ.), რომლებსაც იყენებთ თქვენ და მოსწავლეები გაკვეთილისთვის.
მეთოდები (სასწავლო მეთოდები რომლებიც გამოიყენება გაკვეთილზე. აქ შეიძლება ჩაიწეროს URL მისამართები ლემილის	აქ გრაფაში შეიძლება განთავსდეს სასწავლო მეთოდები. მაგალითად ტესტი, სავარჯიშო, დავალება ჯგუფური სამუშაოებისთვის და ა.შ.

მეთოდების)	
ხელსაწყოები (ხელსაწყოები რომლებიც გამოიყენება გაკვეთილზე. აქ შეიძლება ჩაიწეროს URL მისამართები ლემილის ხელსაწყოების)	ტექნიკა და ინსტრუმენტები - შესასრულებელი აქტივობის გათვალისწინებით უნდა მიუთითოთ, თუ რა ტექნიკა და დამხმარე ინსტრუმენტები გჭირდებათ გაკვეთილზე (მაგ.: კომპიუტერების რაოდენობა, პროექტორი, გლობუსი, კოლბა და ა.შ.) კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების შემთხვევაში: იმის გათვალისწინებით, რომ კომპიუტერული ლაბორატორიები მრავლად არ გვაქვს სკოლებში, მიანიშნეთ, იქნებოდა თუ არა შესაძლებელი იმავე გაკვეთილის ჩატარება, ვთქვათ, 3 ან 1 კომპიუტერის არსებობის შემთხვევაში. თუ არა, მიანიშნეთ: მიზანშეწონილი არ არის მსგავსი გაკვეთილის ჩატარება კლასში 3 კომპიუტერის არსებობის შემთხვევაში.
შეფასება (მეთოდები რომლითაც გაიზომება სტუდენტის განვითარების დონე)	მიუთითეთ, რა ფორმით ამოწმებთ სასწავლო შედეგებს. აღწერეთ შეფასების რა ტიპ(ებ)ს (განმავითარებელი, განმსაზღვრელი, ინდივიდუალური, ჯგუფური...) იყენებთ; ამისათვის, სასურველია, წინასწარ გაამზადოთ შეფასების რუბრიკა/ შეფასების ფურცელი, რომელიც გაკვეთილის გეგმას ცალკე დოკუმენტის სახით დაერთვის. ამასთან ერთად, ინტერნეტიზირებული სკოლები შეფასების რუბრიკებს აქვეყნებენ http://www.lemill.net/-ზე „მასალების“ განყოფილებაში და ამ გრაფაში უთითებენ მის ბმულს.
მასწავლებლის ნააზრევი (გაკვეთილის შემდეგ მასწავლებლის აზრი)	აქ შეიძლება განთავსდეს ინფორმაცია, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ეს თემა გარკვეული ასაკობრივი ჯგუფისთვის. აზროვნების რა თვისებების განვითარებაზეა გათვლილი, რატომ არის არჩეული ესა თუ ის საკლასო მენეჯმენტის ფორმა (ინდივიდუალური, ჯგუფური, ლექცია და ა.შ.)